

პრაქტიკული კვლევა: ქიმიის სწავლის მოტივაცია სსიპ-ვლადიმერ
კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის IX 4
კლასში

ავტორები: ლიკა გიორგაძე
მაგდა გოგრიჭიანი
ნინო მდინარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა გიორგაძე

მაგდა გოგრიჭიანი

ნინო მდინარაძე

20.01.14

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილული კვლევა წარმოადგენს სამაგისტრო სადისერტაციო კვლევას, რომელიც განხორციელდა სსიპ - ქალაქ თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის №199 ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში. იგი მიზნად ისახავდა პრაქტიკული კვლევის, როგორც მექანიზმის გამოყენებას და ამ გზით, მის დანერგვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს აღნიშნულ სკოლაში ქიმის სწავლის მოტივაციაზე და შესაბამის ღონიძირებებზე ქიმის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამისთვის განისაზღვრა ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მოტივაციას/დემოტივაციას და გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებული ფიზიკა-მათემატიკური უნარებით დაჯილდოებულ მოსწავლეთა ქიმის სწავლების მოტივირებაზე დიდ გავლენას ახდენს სწავლის ისეთი მეთოდების დანერგვა, რომელიც „აღმოჩენით სწავლებას“ და ექსპერიმენტირებას უკავშირდება; მოტივაციაზე უარყოფითად მოქმედებს თანამედროვე მულტიმედიური მეთოდების ნაკლები გამოყენება/გამოუყენებლობა; დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის პიროვნებას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს; მოტივაციაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე საგაკვეთილო პროცესისთვის დათმობილი საათების სიმცირე სასკოლო სასწავლო გეგმაში. კვლევის შედეგებმა ქიმის სწავლის მოტივაციასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა აღნიშნულ სკოლაში და დაფიქსირებული შედეგები შესაძლოა განზოგადდეს საბუნებისმეტყველო საგნების ეფექტური სწავლების კონტექსტში.

საძიებო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, სწავლის მოტივაცია, ქიმის სწავლება.

Abstract

The paper describes a study of the Master's dissertation research which was carried out in LEPL Physics and Mathematics Vladimir Komarov Public School N199. It was intended to use participatory action research as a mechanism and as a way for introducing it at a secondary school. The paper focuses on the motivation of learning chemistry and related activities in order to improve the quality of teaching chemistry. Consequently, the factors that contribute to the students' motivation/ demotivation were identified and qualitative methods of research were used. The results showed that incorporating the methods associated with learning through discovery and experimenting has influence on the motivation to learn chemistry among the students gifted with exceptional mathematical and physical abilities. Reducing/Excluding the use of modern multimedia techniques has negative impact on the students' motivation. The importance of teacher's personality and professional skills as well as the the negative impact of the lack of teaching hours allocated to the school curriculum is also stressed. The results of the research have led to the significant changes at school mentioned above regarding the motivation in learning chemistry and achieving educational quality. The results can be generalized within the context of effective teaching of the natural sciences.

Key Words: Action Research, motivation to learn, teaching chemistry.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს, ბატონ გიორგი გახელაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საკვლევით თემატიკის კონკრეტიზაციასა და მიზნების ფორმულირებაში, ასევე კვლევის ყოველ ეტაპზე პროფესიული რჩევებისა და რეკომენდაციების სახით.

ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ კვლევის ფარგლებში ჩართულ ქიმიის ექსპერტს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში, ქალბატონ ნათია სალინაძეს, სსიპ-ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, კერძოდ, მის დირექტორს, ბატონ ივანე კვიციანიას და კვლევის კომისიის წევრებს: დირექტორის მოადგილეს, ბატონ ვახტანგ ჯაოშვილს, სკოლის ფსიქოლოგს, ქალბატონ ნინო ბეჟაურს და ამავე სკოლის ქიმიის პედაგოგს, ქალბატონ ლიანა ინჯირველს.

მათი კვლევაში მონაწილეობა და შეფასებები არსებითი იყო სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგებისთვის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის.